

შპს “ბიაი”

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს „ბიაი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები		31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
ფულადი სახსრები		27548	166056	105,524
389355				
სავაჭრო მოთხოვნები	7.1	487106	433707	259535
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	7.2	188000	694959	502438
არამატერიალური აქტივები		23348	32731	42114
<i>სასაქონლო მატერიალური</i>				
მარაგები	8	52456	147687	79630
წინასწარ გაწეული ხარჯები		47148	127313	86596
		825606	1602453	1075837
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	9	937619	976663	709879
		2087832	937619	976663
სულ აქტივები		2913438	2540072	2052500

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

საფაქრო ვალდებულებები	11	372697	142829	234707
გადასახდელი ხელფასები		38252	44470	23451
საგადასახადო ვალდებულებები		23154	41312	13718
სხვა ვალდებულებები		4519	8213	5326
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		14098		

		452720	236824	277202
--	--	--------	--------	--------

გრძელვადიანი ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები		0	0	9328
ბანკის სესხი	10	792670	635080	630324

		792670	635080	639651
--	--	--------	--------	--------

სულ ვალდებულებები

		1245390	871904	916853
--	--	---------	--------	--------

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1667848	1667968	1135447

		1668048	1668168	1135647
--	--	---------	---------	---------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2913438	2540072	2052500
-------------------------------	---------	---------	---------

შპს „ბიაი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

	2020წელი	2019წელი
კლიენტებისგან და დებიტორებისგან მიღებული ფული	2196703	2701651
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		
კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2468781)	(1821365)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(228639)	(314742)
გადახდილი პროცენტი	(28543)	(60246)
გადახდილი გადასახადი	(119395)	(294425)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(648655)	210873

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(89369)	(28125)
გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე	0	(225255)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(89369)	(253380)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება	779416	833363
სესხის დაფარვა	(778641)	(630324)
გაცემული სესხის დაბრუნება	362000	

სესხის გაცემა		(100000)
პროცენტის მიღება	236741	

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	599516	103039
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება	(138508)	60532
ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	166056	105524
ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს	27548	166056

შპს “ბიპი“-ს 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	3	1902543	2693572
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(1150279)	(1512085)
საერთო მოგება		752264	1181487
სხვა შემოსავალი	4	119246	159301
გარე ორგანიზაციებიდან მიღებული			
ხარჯი	6	(137454)	(88423)
ადმინისტრაციული ხარჯები		(35485)	(29358)
ცვეთა		(210496)	(187073)
საგადასახადო ხარჯები		(13997)	(15276)
ფინანსური დანახარჯები	5	(28543)	(65773)
დასაქმებულთა ანაზრაურობა		(275072)	(382393)

იჯარა	(6855)	(6288)
სხვა ხარჯები	(4201)	(32392)
სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან	(159528)	(1291)
მოგება დაბეგვრამდე	(120)	532521
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	(120)	532521
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში	1668168	1135647
დივიდენდები	0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს	1668048	1668168

შპს “ბიაი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ბიაი“-ს ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებელი არის:

ზურაბ ჭარბაძე 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება

მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე

დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო-შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა

3. ამონაგები

2020

ლარი

საქონლის გაყიდვა

1902543

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების აფასების შედეგად მიღებული შემოსავლები 190 ლარი, საპროცენტო შემოსავალი 91782 ლარი და კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათის თანხა 27274 ლარი, სულ 119246 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2020

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(28543)

6. გარე ორგანიზაციებიდან მიღებული ხარჯი

დამხმარე მასალა და სათადარიგო ნაწილები

92767

ავტოსატრანსპორტო მომსახურება

27203

ავტომანქანების ხარჯი

1195

საბანკო	16103
თხევადი გაზი	60
ჟანგბადი	126
	137454

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
	ლარი	ლარი
7.1 სავაჭრო დებიტორები	487106	433707
7.2 მოთხოვნები გაცემული სესხიდან		
გაცემული სესხი	188000	550000
სესხზე დარიცხული პროცენტი		144959
	675106	1128666
8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2020	31.12.2019
	ლარი	ლარი
საქონელი და ნედლეული	51251	105010
დაუმთავრებელი წარმოება		25143
* მზა პროდუქცია	1205	17534
	52456	147687

	მიწა; შენობა ნაგებობე ბი; დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	მანქა ნა დანად გარები	ტრანსპ ორტი	ინვენტარ ი და სპეციალ ური მოწყობი ლობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა და სხვა	სულ
თვითღირებულება						
01.01.2020	63198	302272	477645	94373	131	937619
შემოსვლა	1280000		84492	4877		1369369
გადაფასება				190		190
გასვლა			-18233			-18233
31.12.2020	1343198	302272	543904	99440	131	2288945
ცვეთა და გაუფასურება	-10123	-27048	-131505	-32371	-66	-201113
წმ.საბალანსო ღირებულება	1333075	275224	412399	67069	65	2087832
31.დეკემბერი 2019 / 31.12.2019	63198	302272	477645	94373	131	937619
31.დეკემბერი 2020/ 31.12.2020	1333075	275224	412399	67069	65	2087832

9.ძირითადი საშუალებები

10.სესხები ბანკიდან	31.12.2020	31.12.2019
	ლარი	ლარი
ვითიბი ბანკი		635080
სს ტერა ბანკი	792670	

11. სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
	372697	142829

12.ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია სამშენებლო მასალების საწარმო და სატრანსპორტო საშუალება.

31.12.2020	31.12.2019
ლარი	ლარი
6855	6288
6855	6288

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2020	2019
ლარი	ლარი

ფულადი სახსრები საღაროში	26086	165924
ფულადი სახსრები ბანკში	1462	132
	27548	166056

15. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შემდეგ ლიცენზიებს: 1. ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზია #10000012-, თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე თურდოზე ქვიშა-ხრემის საბადო. 2. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (სამეწარმეო დანიშნულებით) ლიცენზია #1005468 თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

30,09,2021 წელი

დირექტორი:

A handwritten signature in blue ink, consisting of several overlapping loops and a long horizontal stroke extending to the right.

/ზ. ჭარბაძე/